საქართველოს მთავრობის

განკარგულება №1161

2017 წლის 8 ივნისი

ქ. თბილისი

საჩხერის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების (შემდგომში – დებულება) 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ადგილობრივი მნიშვნელობის გზების რეაბილიტაციის მიზნით, საჩხერის მუნიციპალიტეტი 3 თვის ვადით გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 19 800 (ცხრამეტი ათას რვაასი) $მ^3$ საშენი მასალა (ღორღი, ქვიშა-ხრეში) შემდეგი X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) სოფ. კორბოული, 1950 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	374218	4677427
2	374216	4677395
3	374169	4677381
4	374168	4677405
S = 0,13 ჰა		
WGS 1984;		

ბ) სოფ. სარეკი, 3 900 $მ^3$ ღორღი:

№	X	Y
1	364504	4689511
2	364476	4689504
3	364412	4689503
4	364441	4689473
S = 0,13 ჰა		
WGS 1984;		

გ) სოფ. ჩიხა, 1 200 $მ^3$ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	371886	4688091
2	371889	4688109
3	371838	4688139

4	371785	4688114
S = 0,24 ჰა		
WGS 1984;		

დ) სოფ. ქვემოხევი, 7500 მ³ ქვიშა-ხრეში:

I უბანი		
№	X	Y
1	364793	4692853
2	364753	4692843
3	364742	4692895
4	364771	4692903
S = 0,19 ჰა;		
II უბანი		
№	X	Y
1	364756	4692828
2	364799	4692839
3	364825	4692779
4	364768	4692772
S = 0,31 ჰა		
WGS 1984;		

ე) სოფ. ლიჩი, 3150 მ³ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	374191	4667818
2	374185	4667842
3	374262	4667881
4	374271	4667859
S = 0,21 ჰა		
WGS 1984;		

ვ) სოფ. ხვანი, 2100 მ³ ქვიშა-ხრეში:

№	X	Y
1	378584	4672369
2	378594	4672387
3	378535	4672419
4	378524	4672402
S = 0,14 ჰა		
WGS 1984.		

2. ლიცენზიისაგან გათავისუფლებული პირი – საჩხერის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სოფელ ხვანის მიმდებარედ არსებულ წიაღითსარგებლობის ობიექტზე (0,14 ჰა) ინერტული მასალის მოპოვების სამუშაოები განახორციელოს სს „საქართველოს მილსადენის კომპანიას საქართველოს ფილიალთან“ (ს/ნ: 201955090) წინასწარ შეთანხმებული პროექტის საფუძველზე და მისი გათვალისწინებით.

3. დებულების 7^4 მუხლის 2^1 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტმა ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ოდენობის თანხების გადახდა:

ა) სოფ. კორბოულში 1950 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 339 ლარი;

ბ) სოფ. სარეკში 3 900 $მ^3$ ღორღის მოპოვებისთვის – 543 ლარი;

გ) სოფ. ჩიხაში 1 200 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 209 ლარი;

დ) სოფ. ქვემოხევში 7500 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 1304 ლარი;

ე) სოფ. ლიჩში 3150 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 548 ლარი;

ვ) სოფ. ხვანში 2100 $მ^3$ ქვიშა-ხრეშის მოპოვებისთვის – 365 ლარი.

4. საჩხერის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

5. საჩხერის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი